ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 4

ქ. ონი 27 აპრილი 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 11 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილი მეტრეველი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

არ ესწრებოდა : ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების-შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

4.„ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის #4 განკარგულებაში ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2022 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. .ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ ნაშთის სახით დარჩენილი 6 000 000 ლარი საკმაოდ დიდი თანხაა, რაც გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული და საჭიროა მეტი ერთობლივი მუშაობა და ძალისხმევა, მომავალში მსგავსი პრობლემის თავიდან ასაცილებლად.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ საჭიროა, წარმოდგენილ პროექტში ცვლილება შევიდეს აღნიშნული დებულების მე-15 მუხლის მეორე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნას და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეული.

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების-შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების-შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მოისმინეს: 4. „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის #4 განკარგულებაში ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის #4 განკარგულებაში ,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტით წარმოდგენილია თანხა, რომელსაც იხდიდა მოსახლეობა მანამდეც და ის სუბსიდია, რასაც მუნიციპალიტეტი დებს ამ მიმართულებით, მოსახლეობისათვის მგზავრობის ღირებულების გადახდის კუთხით შეღავათს არ იძლევა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2022 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია 2022 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ და აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია თანხები ისეთი საკითხების დაფინანსებაზე, რომლებიც მართებული იქნება გათვალისწინებული იყოს ბიუჯეტში და მისი ხარჯვა მოხდეს არა სარეზერვო ფონდიდან, არამედ ბიუჯეტიდან.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე